

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 9

ქ. თბილისი

7 ნოემბერი, 2018 წელი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ნადარაია ელიზბარ, შენგელაია ალექსანდრე, შალიკაშვილი მორის, ანანიაშვილი იური, ხუციშვილი ქეთევან, ლომინაძე გიორგი, ამირხანაშვილი ივანე, პაპავა გივი, გოგიაშვილი ლიანა, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ.

**დღის წესრიგი:**

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ ია მანიჭაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ მათა ნაჭყეზიას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ანთროპოლოგიის“ დოქტორანტ ევატერინე დიასამიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „რუსეთისმცოდნეობა“ დოქტორანტ მამუკა მჭედლიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
5. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ქიმიის“ დოქტორანტ რუსუდან კაკავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
6. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ქიმიის“ დოქტორანტ გურანდა ავექოფაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
7. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსსალციური მედიცინა“ დოქტორანტის ხათუნა ჩიტაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
8. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსსალციური მედიცინა“ დოქტორანტის ანა მალაზონიას სადისერტაციო ნაშრომის

დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

9. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ ნინო ხარიტონაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

10. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ ანა მაჩაბლიშვილის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

11. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ - დოქტორანტ ფატი ძოწენიძის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

12. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ ეკა თანდილაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

13. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ მარიამ ახვლედიანის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

14. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ თამილა ლეკაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

15. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ ნანა ტოხვაძის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

16. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სოციოლოგიის“ დოქტორანტ ანა დიაკონიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

17. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ დიმიტრი ჯავახაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

18. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ მერი დაუშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

19. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ ლევან სილაგაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

20. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ ალექსანდრე ერგუშიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

21. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ ლია გვაზავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

22. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ თინათინ მემმარიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

23. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ სალომე საყვარელიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
24. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ თამარ ლუტიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
25. იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ ნატა სტურუას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
26. იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ ირაკლი ყანდაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.
27. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „რუსეთისმცოდნეობის“ დოქტორანტ ანა მანაგაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.
28. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოსოფიის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ ლაშა მათიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
29. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ შოთა მათიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
30. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოლოგიის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ ზურაბ ბარათაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.
31. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ გვანცა ვაჩაძის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

#### **დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.**

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ ია მანიჭაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მანანა რუსიეშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „ქან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს წარმოსახვითი სამყარო“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ: ნაშრომი არის კომპლექსური ხასიათის, ვინაიდან იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული პრობლემატიკით და მწერლის შემოქმედების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილი დაინტერესდა, თუ ჰქონდა დოქტორანტს ინტერვიუ ავტორთან?

**მოისმინეს:** მანანა რუსიეშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს ინტერვიუ უშუალოდ ავტორთან არ ჰქონია, თუმცა მოპოვებული ჰქონდა საგრანტო დაფინანსება და კვლევის ნაწილი ჩაატარა უცხოეთში.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარაია დაინტერესდა დოქტორანტის მიერ უცხოეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

**მოისმინეს:** მანანა რუსიეშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებული აქვს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ჟურნალში „სპეკალი“.

**აზრი გამოთქვა:** ლ. გოგიაშვილი დაინტერესდა, თუ რომელ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში შედის ჟურნალი „სპეკალი“?

**მოისმინეს:** ე. ხუციშვილმა განმარტა, რომ ამ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია სრულიად აკმაყოფილებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოთხოვნებს.

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ია მანიჟაშვილისთვის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ე. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ მანანა ნაჭყეპიას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის თინათინ მარგალიტაძის ინფორმაცია დისერტაციის - „სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და ქვეტექსტური სიუჟეტი მოდერნისტულ მხატვრულ ნარატივში“ (ჯ.დ. სელინჯერის „მცირე პროზის“ კვლევის საფუძველზე) - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტი სერიოზული სამეცნიერო ბიოგრაფიის მქონე გამოცდილი მკვლევარია. გამოქვეყნებული აქვს ექვსი პუბლიკაცია, მათ შორის პოლონეთში ჩატარებულ საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში. ნაშრომი არის ინტერდისციპლინური. დამუშავებულია ბევრი წყარო. დისერტაციის დაცვისას პროცედურები არ დარღვეულა.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილი დაინტერესდა შეფასების ქულით.

**მოისმინეს:** თ. მარგალიტაძემ აღნიშნა, რომ ნაშრომი შეფასდა 79 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილმა დასვა კითხვა, სადისერტაციო ნაშრომის კომისიის თავმჯდომარის ან მდივნისათვის ხომ არ არის ცნობილი ინფორმაცია დისერტაციის პლაგიატთან და მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით?

**მოისმინეს:** თ. მარგალიტაძემ აღნიშნა, რომ რეცენზენტებისა და ხელმძღვანელებისგან პლაგიატის არსებობის თაობაზე ინფორმაცია არ წარდგენილა დაცვის პროცესში.

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის

კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაია ნაჭყევიასთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს აცნობა, რომ სხდომას არ ესწრებიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ანთროპოლოგიის“ დოქტორანტ ეკატერინე დიასამიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

**დაადგინეს:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „ანთროპოლოგიის“ დოქტორანტ ეკატერინე დიასამიძის სადისერტაციო ნაშრომის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომაზე.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „რუსეთისმცოდნეობის“ დოქტორანტ მამუკა მჭედლიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დიმიტრი შველიძის ინფორმაცია დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

**აზრი გამოთქვა:** ლ. გოგიაშვილი დაინტერესდა ნაშრომის სიახლით და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში „რუსეთისმცოდნეობის“ მიმართულების არსებობით.

**მოისმინეს:** ნ. ჩიქოვანმა ისაუბრა ნაშრომის სამეცნიერო სიახლეზე და შინაარსზე; აღნიშნა, რომ დისერტაცია შეფასდა 77 ქულით; ასევე, საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ნამდვილად არის „რუსეთისმცოდნეობის“ დარგი.

**აზრი გამოთქვა:** გ. ლომინაძემ აღნიშნა, რომ ნაშრომი საკმაოდ საინტერესოა და სამეცნიერო გამართული ენითაა დაწერილი.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილმა დასვა კითხვა, სადისერტაციო ნაშრომის კომისიის თავმჯდომარის ან მდივნისათვის ხომ არ არის ცნობილი ინფორმაცია დისერტაციის პლაგიატთან და მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით?

**მოისმინეს:** ნ. ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ დაცვის კომისიის მიერ ნაშრომი პლაგიატზე არ გადამოწმებულა, თუმცა რეგენზენტებისა და ხელმძღვანელისგან პლაგიატის არსებობის თაობაზე ინფორმაცია არ წარდგენილა.

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მამუკა მჭედლიძისათვის** რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია“

დოქტორანტ რუსუდან კაკავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის იოსებ ჩიკვაიძის ინფორმაცია დისერტაციის - „ქირალური სულფოქსიდების სინთეზი, მათი ენანტიომერების დაყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით და ქირალური გამოცნობის მოლეკულური მექანიზმების კვლევა“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ მოცემული სადოქტორო თემის ფარგლებში მიზნობრივად იქნა სინთეზირებული 40-ზე მეტი ქირალური სულფოქსიდი, რომელთაგანაც ზოგიერთი ლიტერატურაში დღემდე აღწერილი არ ყოფილა და პირველად იქნა დასინთეზებული დისერტანტის მიერ. სინთეზის ნაწილი განხორციელებულია მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ქიმიის, მასალებისა და ქიმიური ტექნოლოგიის დეპარტამენტში, ლაბორატორიაში „ჯულიო ნატა“, ხოლო ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქიმიის დეპარტამენტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრაზე. დისერტანტის მიერ გამოვლენილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს სინთეზირებული სულფოქსიდების ენანტიომერების შეკავებას ქირალურ სელექტორზე და მათი დაყოფის სელექტიურობას. დადგენილია კორელაციური კავშირი საანალიზო ნივთიერების სტრუქტურასა და ენანტიოსელექტივობას შორის; გამოვლენილია მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების ძალები, რომლებიც განაპირობებს ენანტიოსელექტიურ გამოცნობას და შედეგად მათ ქრომატოგრაფიულ დაყოფას. ნაშრომი შეფასდა 99 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, ხომ არ ჩატარებულა კვლევა საქართველოში შემოტანილ მზა პრეპარატებზე?

**მოისმინეს:** ი. ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ პროფ. ბეჟან ჭანკვეტაძე ცდილობს შემოტანილ პრეპარატებზე დანერგოს ეს პრაქტიკა, თუმცა ჯერჯერობით ასეთი კვლევები არ ტარდება და ეს მომავალში იქნება.

**აზრი გამოთქვა:** პროფესორმა ე. ნადარაიამ აღნიშნა, რომ სამივე შრომა გამოქვეყნებულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. თუმცა რა განაპირობებს შრომების თანაავტორების დიდ რიცხვს?

**მოისმინეს:** ი. ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ დისერტანტს ისეთი სახის ექსპერიმენტული სამუშაო ჰქონდა განსახორციელებელი, რომ თანაავტორების გარეშე, სრულიად დამოუკიდებლად, იგი ვერ შეძლებდა ასეთი სამუშაოს ჩატარებას.

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება რუსუდან კაკავასთვის ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ქიმია“

დოქტორანტ გურანდა ავქოფაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის იოსებ ჩიკვაიძის ინფორმაცია დისერტაციის - „ტექნოგენურად დაბინძურებულ ნიადაგებზე მძიმე ლითონთა ფიტომიგრაცია“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ მოცემული სადოქტორო თემის ფარგლებში პირველადაა გამოკვლეული ბოლნისის, დმანისის, ჭიათურის, ზესტაფონის და ოზურგეთის რაიონების ნიადაგებიდან აღებულ სინჯებში 76 ელემენტის შემცველობა, გამოვლენილია მძიმე ლითონებით დაბინძურებული ნიადაგები, ბოლნისის რაიონის მაგალითზე შესწავლილია ნიადაგების ფიტორემედიაცია. შემუშავებულია ფიტორემედიაციული ახალი ბიოტექნოლოგიური მეთოდი, რომელიც განხორციელდა ბოლნისის რაიონში საველე პირობებში. შესწავლილი მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ შაქრის ჭარხალში ბიოსტიმულატორი ბიორაგი აფერხებს დაბინძურებული ნიადაგიდან კადმიუმის ფიტოშეღწევადობას. ფიტორემედიაციის ახალი ბიოტექნოლოგიური მეთოდი მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური, ასევე ეკონომიური, ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით.

**მოისმინეს:** ასოცირებულმა პროფესორმა მ.რუხაძემ აღნიშნა, რომ სადისერტაციო კვლევის ფარგლებში პირველად მოეწყო ბოლნისის რაიონის სოფელ ბალიჭში საპილოტე მეურნეობა, სადაც მოხდა შაქრის ჭარხლის, წითელი ჭარხლის, მწვანე ამარანდას, წითელი ამარანდას, ოქროსფერთავიანი ამარანდას, ნაცარქათამას, ხორბლის, რეჰანის, კამის, მზესუმზირის და კარტოფილის დათესვა. აღნიშნული მცენარეები საკონტროლოსთან ერთად დამუშავდა ბიოაქტივატორ ბიორაგში და ლინგოჰუმატში, რათა გამოგვეკვლია მცენარის ჰიპერაკუმულაციური თვისების გააქტიურება ან შემცირება. ნიადაგების და მცენარეების სინჯებში მძიმე ლითონთა შემცველობის შესწავლა ჩატარდა სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტში (აშშ) ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმური მას სპექტროფოტომეტრის გამოყენებით (ICP-MS). ნაშრომი შეფასდა 83 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, გამოქვეყნებული შრომების შესახებ.

**მოისმინეს:** მ.რუხაძემ აღნიშნა, რომ გამოქვეყნებულია ერთი შრომა იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში „Carpathian Journal of Earth and Environmental Sciences“ და დანარჩენი ორი უცხოეთის რეფერირებულ ჟურნალებში: „Annals of Agrarian Science“ და „Open Journal of Geology“.

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება გურანდა ავქოფაშვილისთვის ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ - დოქტორანტ

ხათუნა ჩიტაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე, მედიცინის ფაკულტეტის ასოც. პროფესორმა გიორგი პატარაიამ სხდომას მოახსენა ინფორმაცია დისერტაციის - „ლატენტური მასტოიდიტის მკურნალობის საკითხისათვის“ - სამეცნიერო/პრაქტიკული ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ახალი, დამზოგველი და უფრო ეფექტური ქირურგიული მეთოდის შემუშავება ლატენტური მასტოიდიტის მკურნალობისთვის. ლატენტური მასტოიდიტი არის ერთ-ერთი საშიში პათოლოგია, რომელიც ვლინდება პირდაპირ ქალასშიდა გართულებების სახით. აღნიშნული ქმნის სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობას და ზრდის ინვალიდობის მაჩვენებელს. შესაბამისად, ლატენტური მასტოიდიტის დროული დიაგნოსტიკა და მიზანმიმართული მკურნალობა წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს. ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა: შემუშავებულ იქნა ლატენტური მასტოიდიტის მკურნალობის ახალი, დამზოგველი და მაღალეფექტური ქირურგიული მეთოდი. კერძოდ, ოტოლოგიაში პირველად იქნა გამოყენებული დიოდის ლაზერი ოსტეოპერფორაციების მიზნით. ლაზერის სხივით ოსტეოპერფორაციები აღმოჩნდა გაცილებით დამზოგველი და იძლეოდა სწრაფი რეაბილიტაციის საშუალებას, ვიდრე ელექტრობურღით წარმოებული მანიპულაცია. დადგინდა რომ რეციდივის მაჩვენებელი პრაქტიკულად არ აღინიშნება ოსტეოპერფორაციით გაკეთებული მასტოიდექტომიების შემდეგ პერიოდში. ნაშრომის პრაქტიკული ღირებულებას წარმოადგენს: ოსტეოპერფორაციით მიმდინარე მასტოიდექტომია იძლევა მაღალეფექტურ შედეგს; მინიმალურია მოსალოდნელი რეციდივის ალბათობა პოსტოპერაციულ პერიოდში; გარეთა სასმენი მილის ძვლოვანი კედლის შენარჩუნებით გვერდს ვუვლით მთელ რიგ პოსტოპერაციულ გართულებებს.

ხაზი გაესვა დოქტორანტის, როგორც კვალიფიციური მკვლევრის უნარ-ჩვევებს.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილი დაინტერესდა დოქტორანტის შეფასებით.

**მოისმინეს:** გიორგი პატარაიამ აღნიშნა, რომ ნაშრომი შეფასდა „97“ ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ლიანა გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ კვლევის დროს მიღებული შედეგები და მოსაზრებები ასახულია დოქტორანტს მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში, მათ შორის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში: Chitadze K, Adamia M, Jorbenadze T. Actuality of latent mastoiditis in modern medicine. *Translational and Clinical Medicine-Georgian Medical Journal*. 2017 May 31;2(1):16-18 და Khatuna Chitadze, Merab Adamia and Teimuraz Jorbenadze; For the issue of treatment of latent mastoiditis; *International Journal of Current Advanced Research*; volum 6; Issue 11; November 2017; Page No.7489-7491; Читадзе Х.К., Джорбенадзе Т.А., Адамия М.Б. Патоморфологические изменения при латентном мастоидите; *Georgian Medical News*; Page No.6 (267). June 2017.

**აზრი გამოთქვა:** ალ. შენგელაია დაინტერესდა საკითხით, რომ მიღებული შედეგები და თვით კვლევა წარმოადგენს თუ არა სიახლეს მსოფლიო მასშტაბით?

**მოისმინეს:** გ. პატარაიამ აღნიშნა, რომ ძალიან მცირეა მსგავსი გამოცდილება უცხოეთში და არსებული კვლევა პრაქტიკულად წარმოადგენს სიახლეს მსოფლიო მასშტაბით და კვლევაში - ოპერაციების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია შემუშავებულია თვით დოქტორანტის მიერ.

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ



არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა და მიიღეს გადაწყვეტილება **ხათუნა ჩიტაძისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ანა მალაზონიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, თსსუ-ს ასოცირებული პროფესორის, ლალი ჯავაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „კლინიკურ-მეტაბოლური დარღვევები და მელატონინის სეკრეციის თავისებურებები სიმსუქნით დაავადებულ ქალებში“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა რეპროდუქციული ასაკის ქალებში სიმსუქნის კლინიკური მიმდინარეობისა და მელატონინის სეკრეციის თავისებურებების შესწავლა, კომორბიდული მეტაბოლური და ქცევითი დარღვევების გამოვლენა და მელატონინის რაოდენობრივ ცვლილებებთან კორელაციის შეფასება. სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს 100 ნაბეჭდ გვერდს. შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, საკუთარი კვლევები, მიღებული შედეგების განხილვა, დასკვნები. დისერტაცია ილუსტრირებულია 5 დიაგრამით და 13 ცხრილით სქემით. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს 182 წყაროს. ლ. ჯავაშვილმა აღნიშნა, რომ სადღეისოდ დამტკიცებულია მელატონინის როლი ენდოკრინული და იმუნური სისტემების ფუნქციურ მართვაში. არსებობს მონაცემები მელატონინის გამოხატული ანტიოქსიდანტური, ვაზოდილატატორული და სტრესპროტექტორული თვისებების შესახებ. მელატონინი მონაწილეობს ბიორითმების სინქრონიზაციაში, რეპროდუქციული და იმუნური სისტემის რეგულაციაში, აქვს თავისუფალი რადიკალების შთანთქმის უნარი. ბიორითმოლოგიური ფუნქციების შესწავლამ გამოავლინა, რომ მელატონინი წარმოადგენს არა მარტო ჰიპოთალამუსის სუპრაქიამალური ბირთვების მიერ გენერირებული ენდოგენური რითმის დღე-ღამური რითმის ძირითად მესენჯერს, არამედ გარემოს ფაქტორების ზემოქმედების კორექტორს. მისი გამომუშავების დარღვევა განაპირობებს მთელ რიგ დაავადებებს, მათ შორის სიმსუქნესაც. ნაკლებად არის შესწავლილი მელატონინის სეკრეციის თავისებურებები სიმსუქნით დაავადებულ რეპროდუქციული ასაკის ქალებში, არ არის დადგენილი მელატონინის რეფერენსული ნორმატივები. სიმსუქნე რეპროდუქციულ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ ასაკობრივ ჯგუფში ცხიმოვანი ქსოვილის მატება მონაწილეობს რეპროდუქციული დისფუნქციის გენეზში. სიმსუქნის პათოგენეზის ნეიროენდოკრინული მექანიზმების შესწავლა ბოლო პერიოდში საკმაოდ მაღალ ინტერესს იწვევს. დაგროვდა ცნობები სხვადასხვა დაავადებების დროს მელატონინის სეკრეციის არაერთგვაროვანი ხასიათის შესახებ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომი მოიცავს დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურ საკითხებს. თავჯდომარემ მოახსენა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურები - სადისერტაციო კომისიის სხდომას ესწრებოდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია 8 წევრის შემადგენლობით; კენჭისყრაში

მონაწილეობა მიიღო საბჭოს ყველა წევრმა. კომისიის ყველა წევრმა დისერტანტს მისცა დადებითი შეფასება; ფარული შეფასების საფუძველზე სადოქტორო ნაშრომი შეფასდა „97“ ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ალ. შენგელია დაინტერესდა კვლევის მეთოდოლოგიით.

**მოისმინეს:** ლალი ჯავაშვილმა მოახსენა, რომ შესაწავლილ იქნა სიმსუქნით დაავადებულ ქალებში მელატონინის მეტაბოლიტის– სულფატოქსიმელატონინის ექსკრეციის რაოდენობრივი ცვლილებები დაავადების ხარისხის გათვალისწინებით; და კვლევის სიახლეს სწორედაც რომ წარმოადგენდა მელატონინის დერივატების განსაზღვრა შარდში, რომლის შედეგადაც პირველად იქნა მიღებული ასოციაციური კავშირები; რეპროდუქციული ასაკის ქალებში ქცევითი დარღვევების (ძილი, კვება) შესწავლა ფსიქოდიამნოსტიკური ტესტების გამოყენებით; სინდრომოლოგიური და ფენომენოლოგიური ანალიზი. მან აღნიშნა: კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ამ დროს აქვს ადგილი კვების და ძილის პატერნების დარღვევებს. მელატონინის მომატება კი წარმოადგენს კომპენსატორულ რეაქციას ძილის და კვების რეჟიმის დარღვევებზე.

**აზრი გამოთქვა:** ალ. შენგელია დაინტერესდა, მაშინ რატომ შეიცავენ საძილე მედიკამენტოზური საშუალებები მელატონინს?

**მოისმინეს:** თავჯდომარემ მოახსენა, რომ სწორედ რეჟიმის დარღვევები განაპირობებენ მელატონინის დონის კომპენსატორულ მომატებას; იგივე მექანიზმზეა დაფუძნებული მედიკამენტოზური თვისებებიც, რომ მოაწესრიგოს ეს დარღვეული რეჟიმი.

**აზრი გამოთქვა:** ალ. შენგელია დაინტერესდა დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული შრომებით.

**მოისმინეს:** ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ კვლევის დროს მიღებულ შედეგები და მოსაზრებები ასახულია დოქტორანტს მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში, მათ შორის იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში.

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (11 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა და მიიღეს გადაწყვეტილება ანა მალაზონიასათვის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად ხელმეორედ წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ ნინო ხარიტონაშვილის სადისერტაციო ნაშრომის („მესამე პირები სამოქალაქო პროცესში“, სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი) დაცვის კომისიის შემადგენლობა.

**აზრი გამოთქვა:** მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის მიერ წინა სხდომაზე წარმოდგენილ კომისიაში შეტანილია ცვლილება.

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ნინო ხარიტონაშვილს** დაუმტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) თევდორე ნინიძე - პროფესორი (თსუ);

ბ) ირაკლი ბურდული - პროფესორი (თსუ);

გ) ნუნუ კვანტალიანი - პროფესორი (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);

დ) მარიამ ცისკაძე - ასოცირებული პროფესორი (თსუ);

ე) სერგი ჯორბენაძე - ასოცირებული პროფესორი (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);

ვ) გიორგი ცერცვაძე - ასოცირებული პროფესორი (თსუ);

ზ) გიორგი სვანაძე - ასოცირებული პროფესორი (თავისუფალი უნივერსიტეტი).

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ - დოქტორანტ **ანა მაჩაბლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლები (სადისერტაციო ნაშრომი: „საქართველში გრიპის ვირუსების ცირკულაცია, მათი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა და მოლეკულური ბიოლოგია“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი, მედიცინის დოქტორი პაატა იმნაძე).

**აზრი გამოთქვა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ - დოქტორანტ **ანა მაჩაბლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად დამტკიცდნენ:

ა) ნანა მებონია - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

ბ) ადამ კოტორაშვილი - ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მიწვეული ლექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ - დოქტორანტ **ფატი ძოწენიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლები (სადისერტაციო ნაშრომი: “ქრონიკული ტკივილის მართვაში არსებული ბარიერების შეფასება და მათი ზემოქმედება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი ნინო ჩიხლაძე).

